საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030415966957920

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/9805 **27 / აპრილი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს, ბატონ ბექა ჯაყელს

ბატონო ბექა,

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ნოემბრის N01-342/ო ბრძანების პირველი მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2020 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებულ გეგმას დანართის მიხედვით. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ესაჭიროება სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან (www.matsne.gov.ge) ხელშეკრულების გაფორმება, 32 (ოცდათორმეტი) თანამშრომელთათვის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ გვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული (კოდიფიცირებული) ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურების, საინფორმაციო სისტემით სარგებლობის უფლების შესყიდვასთან დაკავშირებით:

აღნიშნულიდან გამომდინარე:

1) გეგმას დაემატოს CPV კოდი 64200000 (რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 59; შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა) და მისი ღირებულება განისაზღვროს 6 144 (ექვსი ათას ასორმოცდაოთხი) ლარით.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 22 აპრილის N04-3822 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ესაჭიროება 100 (ასი) ცალი 0,5 ლიტრიანი მინერალური წყლის შეძენა

2) ასევე გეგმას დაემატა CPV კოდი: 15900000 (სასმელები, თამბაქო და მონათესავე პროდუქცია); რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 6) და მისი ღირებულება განისაზღვრა 100 ლარით. ((გამარტივენული შესყიდვა).

3) საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 26 მარტის N01-126/ ო ბრძანების შესაბამისად, ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით:

გეგმას დაემატა CPV კოდი 85100000 (ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები); რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 106) და მისი ღირებულება განისაზღვრა 171 000 ლარით.

4. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსის ბატონ კახაბერ ჩხარტიშვილის 2 აპრილის N04-3496 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, საჭიროა საკარანტინო სივრცეების სასტუმრო მომსახურების შესყიდვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე: გეგმას დაემატოს CPV კოდი 55100000 (სასტუმრო მომსახურება რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 47) შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა) და მისი ღირებულება განისაზღვროს 761 730 (შვიდას სამოცდაერთი ათას შვიდას ოცდაათი) ლარით.

5. ააიპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის დირექტორის 2020 წლის 21 აპრილის N38328 წერილის შესაბამისად, საჭიროა „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19 მართვის“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება შესაბამის საკარანტინე/საველე სივრცეში მომსახურების შესყიდვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე: გეგმას დაემატოს CPV კოდი 85100000 (ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 107) შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა) და მისი ღირებულება განისაზღვროს 1 113 775 (ერთი მილიონ ასცამეტი ათას შვიდასსამოცდათხუთმეტი) ლარით.

დანართი: სახელმწიფო შესყიდვების გეგმა - Excel-ის ფორმატის 1 (ერთი) ფაილი.

პატივისცემით,

დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან გოგოძე